ცვლილება დისტანციურად იდენტიფიცირებულ/ვერიფიცირებულ არარეზიდენტ პირთა საბანკო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომ "ხელშეკრულება").

ხელშეკრულებას დაემატოს 14[1] მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 14[1]. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის გაცხადების პირობა და პრაქტიკული ინსტრუქციები.

1. მომხმარებელი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე ამ ხელშეკრულების დადებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე.
2. ხელშეკრულებაზე უარის გაცხადების შესახებ მომხმარებლის მხრიდან შეტყობინება ბანკს უნდა გაეგზავნოს/მიწოდოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, მხოლოდ წერილობითი ფორმით, ინტერნეტ ბანკის ან ბანკის კანცელარიის მეშვეობით. შეტყობინება ბანკის მხრიდან ჩაბარებულად ითვლება ბანკის მიერ მისი მიღების დადასტურების დღეს. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ბანკის კანცელარიის მისამართია ბანკის იურიდიული მისამართი ან ბანკის სერვისცენტრების მისამართი.
3. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში, მას ეკისრება ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისა და პერიოდის პროპორციულად. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია მომხმარებელს დააკისროს ბანკის მიერ მესამე პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება.
4. თუ მომხმარებელი იყენებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, ის ვალდებულია ასეთი უარის გაცხადებიდან/გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ბანკს სრულად დაუბრუნოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხა ან/და ქონება სრულად (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და აუნაზღაუროს მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანხები.
5. ბანკმა ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღების დღეს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მიღების დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, მომხმარებელს უნდა დაუბრუნოს ამ ხელშეკრულების ფარგლებში მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა სრულად, ამ მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებული გადასახდელი თანხის/ასანაზღაურებელი ხარჯის გამოკლებით.
6. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება მხოლოდ წინამდებარე მუხლის მე-4-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემდეგ.
7. წინამდებარე მუხლის შესაბამისად ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში უქმდება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება/ები, რომელიც დაიდო ბანკთან ან მესამე მხარესთან ბანკსა და მესამე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

8. კლიენტი ბანკს ანიჭებს გამოუთხოვად თანხმობას ბანკმა, ხელშეკრულებაზე უარის გაცხადების შესახებ განცხადების მიღების დღიდან, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს კლიენტის ნებისმიერ ანგარიშზე არსებული ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული თანხები. ამასთან, თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გაცხადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში უაქცეპტო წესით ჩამოჭრილი თანხის ოდენობა არ იქნება საკმარისი ბანკის მოთხოვნის სრულად დასაფარად ან/და ბანკი ვერ ჩამოჭრის თანხას, მისი არ არსებობის გამო ან/და კლიენტი ბანკს ამავე ვადაში ნებაყოფლობით არ აუნაზღაურებს სრულ/სხვაობის თანხას, წინამდებარე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად და ჩამოჭრილ თანხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბანკი მიმართავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების დასაფარად).
9. იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დავალიანების სრული დაფარვა, ბანკის მიერ გატარებული იქნება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები, მათ შორის: ბანკი მოითხოვს ანგარიშების დაყადაღებას, კრედიტის დაფარვის მიზნით მომხმარებლის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების დაყადაღებას, რეალიზაციას, მიმართავს სასამართლოს/არბიტრაჟს/სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

[მოცემული ცვლილება/დამატება ძალაშია 2024 წლის 01 ივლისიდან გასაფორმებელ ხელშეკრულებებზე]